ლახტი

ბიბლიოთეკა-მუზეუმი ... ი. გომართელის სახელობის ...
Библиотека-Музей им. акад. И. Гришашвили
Академия наук

6 388

№ 11 | კვირა, 18 მაისი. | ერთი წლით ჟურნალი ღირს 2 მ. 50 კ., ნახევარი წლით 1 მ. 25 კ. წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Мухранская 12, для журнала ,,ЛАХТИ". | ფასი 5 კაპ. | № 11

ეგნატე ნინოშვილი

ეგნატე ნინოშვილი!

რა საშინელი სურათი გადაეშლება თვალწინ მკითხველს, რა მწარე ფიქრები მოუვა თავში ამ დაუვიწყარის ადამიანის სახელის გახსენებაზე!

ეგნატე ნინოშვილის ცხოვრება ჩვენი ტანჯული ხალხის ცხოვრება იყო; მაგრამ ე ნინოშვილი არ იტანჯებოდა, არ სტიროდა მხოლოდ! არა, იგი იბრძოდა ტანჯული ხალხისათვის!

კაცმა რომ წაიკითხოს მისი ვრცელი ბიოგრაფია, მთელს ჯოჯოხეთს წარმოადგენს. მისი ცხოვრება მართლაც, რომ ხელჩართული ომია, ომ. შეუბრალებელი, ომი სასტიკი! უთმობს ეგნატე მხოლოდ მაშინ, როცა იგი უკვე უსულოა, მკვდარია! მანამდე კი ის იბრძვის, როგორც გმირი, ხელებ-დაუშვებლად.

ეგნატე იყო ობოლი გლეხის შვილი, მიყრდნობილი თვისი მამიდის მადლიან მკერდზე, იზრდებოდა ტანჯვა-სილარიბეში, ესევე არის მისი უკანასკნელი წუთების დღენიც. რვა წლის ეგნატე მოჯამაგირეობს ერთს მღვდლის ოჯახში, ნახევარი წლის შემდეგ მიდის მოჯამაგირედ იმავე მღვდლის ძმისწულის ხუტყის ვაჭართან ფოთში. 1871—1875 წ. განმავლობაში ცალ ხელში უჭირავს წიგნი და მეორეში კომბალი ძროხების მოსავლელად. ეგნატე მაინც ასწრობს იმდენად მომზადებას, რომ 1876 წელს შედის ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, საიდანაც სამი წლის კურსის გათავების შემდეგ დაითხოვეს, რადგან მან სასწავლებელში მომხდარ უწესობაში მიიღო მონაწილეობა. მას სასწავლებლიდან ისეთი მოწმობა მისცეს, რომ არც ერთ სასწავლებელში არ მიიღებდნენ. ამასაც როგორც იქმნა თავი დააჭრინა ეგნატემ, იშოვა მოწმობა ,,კეთილ

საიმედო პირისა'' მამასახლისისაგან და 1879 წელს ქუთაისში დაიჭირა ეკზამენი სახალხო მასწავლებლისა. მაგრამ ევნატე გრძნობდა თავის მოუმზადებლობას, და რომ ხელ ახლა სწავლას შესდგომოდა, ის სცდილობს იშოვოს როგორმე ორიოდე გროში. ამ მიზნით ბედის ამხანაგად ,,პოდრიადჩიკებთან'', საიდამაც ვალის მეტი არა გამოჰყვა-რა. 1884 წელს იგი მუშაობს ტფილისში ა. კალანდაძის სტამბაში დღეში შვიდ კაპეიკად. 1885 წელს ბრუნდება თავის სოფელში და ექვს თვეს რჩება სოფლის მწერლად. 1886 წელს მიდის საფრანგეთში. 1887 წელს ბრუნდება ისევ საქართველოში და ამავე წელს დგება მწერლად გრ. გურიელთან. 1889 წელს მიდის ბათუმში ბათუმში ისა სცხოვრობდა მუშების პაწია სადგომში. ოთახების სიგრძე-სიგანე არ აღემატებოდა საჟენ ნახევარს. ამ პაწია ოთახში ეძინა 7—8 კაცს. ოთახები მუდამ სველი და ნესტიანი იყო, მაგრამ უფრო უარესი აყროლებული ჰაერი, რის გამოც ოთახის პაწია სარკმლები მუდამ ღია უნდა ყოფილიყო, რომ საძაგელ სუნს არ დაეხრჩო შიგ მცხოვრებნი.

სიკვდილის სამი ოთხი წლის წინედ ევნატე ჰკიდებს ხელს კალამს და შემოდის ჩვენს მწერლობაში, როგორც ახალი სხივი, ახალი წყარო ძველ მდორე მორევში. ახლა კი მიაგნო ევნატემ თავის მოწოდებას და ჰსურს მთელი თავის ძალ-ღონე შესწიროს კალამს.

29 აპრილს ოც[illegible] წლიწადი შე[illegible]ულდა მას [illegible]მდეგ [illegible]ც ევნატე წუთი სოფელს გამოესალმა ერთი თავისი მეგობრის მკლავზე ისევ იქ საიდანაც დაიწყო პირველი წამება

ელეგია

ნუ მთხოვ სიმღერას ტრფობისას
ნაზ სიყვარულზე აგებულს...
მწარეა ჩემი სიმღერა
მწარედ ედება ყოველ გულს...
ხმა მისი წვიმის ხმა არის,
სარკმელზე ქარის წასტყორცნი...
მწუხრად ნაკვნესი გულისა
ავადმყოფ სულში ნაწრთობი...

ვ. ხოფლიშვილი.

სიკვდილ-სიცოცხლიდან

I

მომაკვდავი მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ მოსვლოდა ჟამი მისი სიცოცხლის დასასრულისა, როცა მშობლებს შეჰხედა: მის მშობლებს ცრემლთა წყაროები ამოშრობოდათ, მათ თვალთაგან ცრემლები აღარ სდიოდათ, თვალები ჩასწითლებოდათ, ჩამონაწური ცრემლები ღაწვებზე შეშრობოდათ და დაეშაშრათ, თვალები მილეოდათ და უილაჯოთ დასჩერებოდნენ მომაკვდავს.

— მშობლებმა უკვე გამომიტირეს?.. მაშ ვკვდები?—გაუელვა გულში მომაკვდავს. უკან მიიხედა და დაინახა სიკვდილი.

— ჰოი, საძაგელო სიკვდილო! უსამართლო!

— ხა-ხა-ხა!—გადაიხარხარა სიკვდილმა. რათა ვარ უსამართლო?

— რისთვისა მკლამ? მე ხომ ჯერ ნორჩი ვარ, ახალგაზდა? სიცოხლე მწყურია, სიცოცხლე!..

— მაშ ვინ მოვკლა? ჩემი საქმე ხომ ის არის რომ მოვკლა?

— განა ცოტანი არიან სიცოცხლე მობეზრებულნი? რადა მე მომატანე?

— ამ ოჯახში ვინ არის სიცოცხლე მობეზრებული? ნაბძანები მაქვს, რომ ერთ ერთი სული გავიყვანო აქედან.

— აქ? აი თუ გინდა ჩემი მშობლები. მათ თუმცა არა აქვთ სიცოცხლე მობეზრებული, მაგრამ მათ ჩემზე მეტი უცოცხლიათ, ჩემზე მეტი რამ უნახავთ...

— ეგენი რომ არ ყოფილიყვნენ შენ არ გამოგასალმებდი წუთი-სოფელს.

— ეგ როგორ?

— ისე, რომ მაგათ ეყოლეჴათ შვილი, რომელიც დაიჭერს შენს ალაგს.

— რა იქნებოდა, რომ იჴის მაგიერად მე ვყოფილიყავი?..

— შენ? შენ რა უნდა ყოფილიყავი ცხოვრებაში? რას წარმოადგენდი შენ ამ ქვეყნად? კაცი, რომელიც მარტო თავის თავზე ფიქრობს და მარტო თავის თავი ახსოვს, სუყველასთვის უსარგებლოა და თავის თავისთვისაც უვარგისია. შენ ამ ქვეყნად მეტი ბარგი იყავი.

— სტყუი!

— შენ ეხლაც შეგეტყო... შენა სთქვი: მე ნუ მომკლავ და აი ჩემი მშობლები, მიიღე ჩემ სამაგიეროთ. შენ შენი მშობლებისათვის ვერ გაგიწირია თავი და სხვას უფრო რაში გამოადგები? ცხოვრებაში კი ესრეთი ხალხი არ ვარგა, უკუღმართი ცხოვრება უკუღმართადვე დარჩება...

მომაკვდავის მშობლებმა მწარე ქვითინი მორთეს, როდესაც მათ შვილს სული ამოჰხდა.

II

სულმა დასტოვა სხეული ამ ქვეყნად და გაემგზავრა ზეცას. იქ ის წარსდგა ღვთის წინაშე და ელოდა ბრალდებას.

— აბა გაიხედე მარცხნივ!—მოესმა ხმა.

— სულმა გაიხედა მარცხნივ და დაინახა სამოთხე. სამოთხის სიმშვენიერემ სულ აღტაცებაში მოიყვანა.

— აბა ახლა ჩაიხედე ძირს, მარჯვნივ!—სულმა ჩაიხედა ძირს და შიშით კანკალი დაიწყო. იქ მან დაინახა ჯოჯოხეთი. და კვლავ მოესმა სულს ხმა:—მოიგონე რომელიმე კეთილი საქმე შენი ქვეყნად მოქმედებიდან, რომ მან დაჰფაროს ცოდვანი შენი და აგაცდინოს საზარელი ჯოჯოხეთი.

სული დაფიქრდა და ცოტა ხნის შემდეგ სთქვა: მე ვიყავ მფარველი ზნეობრივი სიწმინდისა. ამას მე ვღალადებდი წერილებით...

— წერილებით? საქმით კი შენ პირველად აჩვენე ხალხს უსაზარლესი მაგალითი? შენ ახადე ნამუსი სუსტ არსებას და დასტოვე ღვთისანაბარათ. უგუნურმა ბრბომ მიმართა შენს მაგალითს და აიძულეს სუსტი არსება, რომ წყალში გადავარდნილიყო. ეს საქციელი არ გეპატიება. მოიგონე სხვა რომელიმე!..

— უფალო!—მიმართა კანკალით სულმა. მე ვიყავი მოსარჩლე ყოვე-

ლი დაჩაგრულისა. მე ვიყავ ქომაგი ყოველი სუსტისა, ვიყავ მფარველი და გამკითხავი უძლურისა, დავრდომილისა და ღატაკისა...

— შენ დაგრჩა ქვეყნად მრავალი სიმდიდრე. ქვეყნად იყვნენ მრავალი დავრდომილნი, უძლურნი, ღატაკნი. შენს ქონებას შეეძლო მრავალი გამოეყვანა გაჭირვებულ ცხოვრებიდან, მაგრამ ის დავრდომილნი უძლურნი და ღატაკნი ისევ იმ მდგომარეობაში დარჩნენ და შენი ქონებაც ისევ ისე ხელუხლებლად დარჩა „ერთს“ შენს მემკვიდრეს. რაში ეტყობა შენს სიტყვებს სიმართლე?

— უფალო! — კვლავ მიმართა სულმა — შენს სამართლის წინ სდგასსული, რომელიც. ქვეყნად გლახაობდა. ის მე, უკანასკნელ დღეებში ჩემი სიცოცხლისა, გავიკითხე... ნუ თუ ეს მოქმედება მაინც არ მიხსნის საზარელ ჯოჯოხეთიდან?..

— ეგ მოხდა დიდ ქუჩაზე, სადაც ხალხი ბლომად იერეოდა. შენ ხალხს აჩვენე შენი გულუხვობა. იგივ გლახა შენ შეგხვდა ერთ მიყრუებულ ქუჩაში და მოწყალება გთხოვა, ეგონა შენ იყავი ნამდვილი გამკითხავი საცოდავი გლახაკისა, შენ კი ზიზღის თვალით შეხედე და საჩქაროდ განშორდი. ეგ მოქმედება შენ მადლათ არ ჩაგეთვლება.

— უფალო! აღარ იცოდა რა ეთქვა — გლახას მაინც და მაინც დიდათ არა უჭირდა რა..

— არა უჭირდა რა? როგორ არ უჭირდა? მაშ შენ არ გცოდნია, უჭირდა თუ არა მას. რახან ასრეა, შენ ისცდები ჯოჯოხეთს, მხოლოდ სამოთხეს კი ვერ ნახავ. შენ წახვალ ისევ ქვეყნად და ქვეყნად შეხ იქნები იმ გლახად, რომელზედაც შენ ამბობ, არა უჭირდა-რაო!

— ეგ ხომ იგივ ჯოჯოხეთია!..

— იგივე ჯოჯოხეთია? შენ კი სთქვი რომ „გლახას არა უჭირდა-რაო“.

კლატონ კოშორიძე.

მოხუცის გოდება

წაგვიხდა შვილო დროება,
ვინღაა სვინდისიანი;
ვიღას მივენდო სულ-ხორცით,
ვიღა მყავს თავისიანი.

—

მთლად გადაბრუნდა ქვეყანა,
ქვეშ მოჰყვა ნამუსიანი,
დაიმხო ნათესაობა,
ძველი დრო, ბედი სვიანი.

—

ვისღა სწამს შვილო, და-ძმობა,
დედა ან მამა-შვილობა?
შელახული აქვთ ოჯახი,
გაწბილებული ზრდილობა.

—

ადამიანის სიცოცხლე,
ყოველ გზით მოწამლულია
ღვთის შიში, კაცის სირცხვილი —
ცალფულად გაყიდულია.

—

დავკარგეთ შვილო, დავკარგეთ,
ნამდვილი ქრისტიანები,
ახალ ცხოვრებას თან მოჰყვა,
ახალი „მაჰმად ხანები!“

გ. ძამუკოვი.

პატარა ფელეტონი

პოეტის განცდა

ყველასთვის ცხადზე უცხადესია, ადამიანი იმის წინააღმდეგ იბრძვის, რაც მას გზას ულობავს, ან აწუხებს და მოსვენებას არ აძლევს. თუმცა, ყოველი ადამიანი ასეა, მაგრამ პოეტები კი ბევრად განსხვავდებიან დანარჩენებისაგან. მათი ნერვები ძალზე სუსტი, სპეტაკი და გაცისკროვნებულია. საკმარისია მათთვის ცოტა შემთხვევაც, რომ მათმა გრძნეულმა აზრმა თავისი ჩანგი მისდა შესაფერად მომართოს და ააჟღეროს.

№ როგორც ცნობილი პოეტი, ცოტა სწავლა მიღებული, უნიადაგო, ღარიბი, უალაგო, უმუშავერი იყო. იმავე დროს სრულებით უასაკო. რით ირჩენდა თავს? არ ვიცით. ალბათ, რიგორც ჩვენში იტყვიან, კაცი შიმშილით არ მოკვდებაო...

ის ცნობილი იყო, როგორც ნამდვილი ხელოვანი ლექსისა, მას ბევრი რამ შეუთხზავს თავის აუტანელ გაჭირვებაზე, თითქმის მთლად მისი ცხოვრება იძლეოდა მასალას, თუ კი სულს შთაბერავდა.

ერთი დარგი თანამედროვე კრიტიკოსებისა, მასზე დიდ იმედს ამყარებდენ მომავალისათვის...

ის იდგა ერთ პაწია ოთახში, სადაც ერთი ძველი საწიგნე იდგა ჟურნალ-გაზეთებით სავსე; იქვე იდგა ერთი ძველი ფეხზე მომტვრეული ტახტი, რომელზედაც როცა ზედ დაწვებოდა, ან ჩამოჯდებოდა, სხვა და სხვა ნოტებზე დაიწყებდა ხოლმე კვნესა-კრიალს. მისი სილარიბის ნიშანი აშკარად სჩანდა.

ზაფხულის ცხელი ღამეა. შუა ღამისას ბაღლინჯოებისაგან ნაკბენი პოეტი მწარეთ იქექება ოთხ-კედელშუა, სიცხისაგან ძალაწართმეულს ძილი თვალებს უხუჭავს; მაგრამ ეს წყეული სულები მოსვენებას არ აძლევენ.

— ოხ, ღმერთო ჩემო! ზამთარში თუ სიცივე მკლავდა, ახლა ლამის არის ამათ ხელში ამომბდეს სული. ამასობაში სადაც ხელს მოჰკიდებს შორს გადაისვრის მათ უწმინდურებას, რათა ხელში არ შეასკდეს, არ ააყროლოს.

დაადგ ქვეშაგები და დაწვა. ძილი მოეკიდა, მაგრამ ეს წყეული სულები მოსვენებას მაინც არ აძლევდნენ. ასე ვაი-ვაგლახით გაატარა მთელი ღამე. როდესაც, ფილა გათენდა, წამოდგა, პირველი ექსპრომეტი ეს იყო მისი:

რა მოგიხერხო ბაღლინჯო,
რომ ლოთიანათ დაგგლიჯო!

შემდეგ აიღო კალამი და დასწერა შემდეგი ლექსი:

ბაღლინჯოებს.

დღისით არ სჩანხართ, ღამით კი
შემომესევით წყეულო;
მგელივით ჩემ სისხლ ხორცზედა
ქურდულათ შემოჩვეულო.

მოდიხართ, როცა ძილი თვალს
გადამაწვება შავადა;

მხარი გიქციო, გაგექცე—
ძალა არ შემწევს თავადა.
თუ გწვდი, გაგსრისე... ჩემსსავით
დღე დაგაყენე ვაების,
ღამის შრომისგან გონება,
რკინის პალოზე დაების.
ნავთი დაესხას, დაიწვას,
ყველა თქვენებრი ცხოველი;
ადამიანის ქურდულათ
სისხლისა გამომწოველი.
რომ ათას ჭირთან, ეს ჭირიც
თავიდან ავიცილოთა;
რომ ბაღლინჯოსგან არ გავხდეთ,
სამასხაროდ სასაცილოდა.

და როდესაც ეს ლექსი ჟურნალ ,,ლახტში‘‘ დაიბეჭდა, წამკითხველნი მთლად გაალა მისი უტყუარი ნიჭით. ირ. ტოფაძე.

ალარ გჯერა

ხომ კი ხედავ, რომ უშენოთ
ვერ ისვენებს ჩემი გული,
მოდი, მოდი შემიბრალე
ნუ გამხადე მე ბედკრული.
სადაც წავალ, თვალ-წინ მიდგას,
თვალ-წინ მიდგას შენი სახე,
მოდი, მოდი, სატრფო მოდი,
ახლო მაინც დამენახე.
დამიჯერე მხოლოდ შენთვის,
მხოლოდ შენთვის მიცემს გული,
ვფიცავ შენს ტანს, ბროლის თითებს,
უშენოთ ვარ წამებული.
ალარ, გჯერა? მაშ რა გიყო?
მაშ რა გიყო, მითხარ გულო,
ნუ თუ მე ვარ დამნაშავე?
ოხ, ცხოვრებავ დატანჯულო.
ნ. დავითიშვილი.

ტანგობია
(სცენა)

რვა წელიწადი სრულდება, რაც აქანე ვარ, მარა ასეთ სასაცილო და საბრალოვილო ამბისთვის არ მიყურებია ჯერ. ხაზეიკა მყავს იმისანა, იმისანა, რომ ცამეტი ულელი კამეჩი ვერ დასძრამს. მართლა და, რომ იტყვიან დრაგუნსკი პოლკის კაზარმაო, სწორეთ იმის სიმსხოა! ლამაზი ხომ არის და არის; ეს რა, საღებავის ბრალია. ჩამომავლობა კნიაზობის აქვთ, ჯიბე კი საღარიბო ყუთის. მიხვრა-მოხვრა, ჩახველება ქეუჯერის, მარა ფულზე ნამეტარ მომდურებული არიან. კუდს მაინც არ ისველებენ.

შარშან წინ, შანტეკლერი იყო და რავარც მოხდა ელირსა და ჩეცვა. მარა მოგეცა ღვთის-წყალობა, იმას სასაცილო ამბავი დამართოდა ქუჩაში. ხაზეინს ფაიტონში ვერაფრის გზით ვერ შეეყვანა, ფეხი ვერ ეეწია. წიკვით რას ზიდავდა, რომ მაზუთის კატიოლს გავს. გულ-გასიეებულ ხაზეინს, როგორც ყოფილა ფაიტონში ჩაეგდო და ისთე მოათრია შოშიაშვილის ტომარივით ცხვირპირ გახეთქილი სახლში. მას შემდეგ შანტეკლერი კი არა, ჩაწვა ლოგინში და სამი თვე ივატმყოფა.

ახლა საგიორგობოთ, შოუჩა, რაცხა ტანგოს კაბა უნდა შევიკეროვო. ეცა იქით-აქეთ და ეისრულა გულის წადილი. იყიდა რავარც იყო, ჩეიცვა, მარა სიმართლე მოგახსენო, შანტეკლერს ას წილათ ჯობნებია. ნახევარი ტანის გამოჩენის ნება ყოფილა შით. პირველს დანახვაზე გაკვირვებით ვკითხე ქალბატონს: ,,ქალბატონო! მოდისკას წივებთან ამოუკერავი დარჩენიათქვა‘‘. ,,არა ეს ასთე უნდა იყვეს ლიათო‘‘. ასე რომ ამ ზაფხულზე, უკეთესი საგრილებელი შეარცხვინოს ღმერთმა, თუ გლახა ქარები არ ატყდა ქუთეისს.

ხო, იმას ვამაობდი, ახლა ოთხშაბათ ღამეს, გიორგობას, ცოტა წეივეჩერეს. მოწვეული ყავდა თავიანთი ჯიბის და ჭკუის ხალხი. მომართეს გრამაფონი. შეიქნა ღრიალ-ღრიალი ზალაში. გათავდა ერთი პესნი, დადვეს ტანგოს პლასტინკა. გამოძანძალდა ჩემი ქალბატონი და გადაეხვია ერთ ტუჟურკა მიხუმებულს კაკარტოსანს. შეიქნა ტანგობია, რხევა, მიწოლ-მოწოლა, ხახუნი. ბღერიან და ბღერიან! ჩოუჩოქა ქალბატონმა, გამოუშთა ტლინკვები. მოგეცა ღვთის წყალობა, გოუარა კაკარტოსანს წელკავმა, თვალები დეებრიცა, პირი დააფჩინა, დორბლი წამოყარა და მუხლებში ჩვარივით დეეკეცა ჩაჩოქებულ ქალბატონს.

ამის დანახვაზე, წაავლო ხაზეინმა ხელი ქალბატონს, შეათრია ჩემს კაბინეტში სამზარეულოში), გააჩურა შამფური და იმ ტიტველ ტლინკვებში კი გოუყარა. მე გამტერებით უჭვრეტდი ვიფიქრე, ტანგოობის თამაში შამფურით თავდება-თქო. ღმერთო მიეცი მათ ასეთი გულადი ქმრები, რომ გახურებული შამფური ეკრასთ გაროვეულში ცოლებისთვის, იქნება მაშინ მაინც მაიშალონ ტანგობია.

კ. ლიკლიკიანცი.

თამროს ოინი

ძველი ხალხი გადმოსცემენ
გასათხოვრებს დარიგებას:
„თუ რომ გინდა საქმრო ნახო,
ნუ გადუხვევ ძველსა მცნებას:
სამ დღეს წმინდათ იმარხულე,
არ შესჭამო არაფერი,
მესამე დღეს გამოაცხე,
ერთი კოვზი მარილ-კვერი.
დაწოლის დროს ის შეჭამე
მოიწყურე კარგა ძილში |ვდის—
და ვინც ლიტრით წყალს მოგაწის შეგხვდება საქმროთ წილში“.
მარხულობას უწოდებენ
სუფსარქისის წუმსა, მარხვას.
ვინც ვის ჰნახავს უეჭველათ
მას შეირთავს არა სხვასა.
სხვებთან ერთათ ცელქ თამრიკომ
შეინახა სუფსარქისი,
რომ იხილოს ახალ-გაზდა
მომავალი საქმრო თვისი.
შუა ღამე გადავიდა,
ნამარხულნი დაწვნენ რბილათ,
მოლოდინში პირს ღიმილით
ჩაეძინათ ყველას ტკბილათ.
უცებ ისმის წყევლა თამროს:
„გამშორდი შე... გამეცალე...
რად მინდიხარ, შე ლატაკო,
ჩამომეხსენ, მომეცალე!
მომაცალეთ გეჯებით,
თორემ დავკრავ ვფიცავ ცულსა.
აღარც მაშინ გამეცლება,

როს ამოგხდი გლახავ სულსა?!“
ყვირილი რომ გაიგონეს—
წამოცვივდა ყველა ზეზე,
მისცვივდნენ და დაინახეს
ჩვენი ცელქი უკვე ფეხზე.
„რა გაყვირებს, რასა ჰჩხუბობ,
რას გაჰგიჟდი, დაგვაფეთე?
რათ გინდოდა იმარხულე,
სისულელე გააკეთე?!.“
„ვინა ვნახე... ვაიმე, დედი!
გაჰკიოდა საზარლათა,—
ისა ვნახე... არ გავყვები...
რათ მინდოდა, რათა, რათა“.
ძლივს ღა ცელქი დაამშვიდეს,
თავის გვერდით დაიწვინეს,
ხოლო თითონ დაიღუპნენ...
წყვლა ქოქით დაიძინეს.
შეჰრჩათ მარტო მარხულობა,
საკრძოები ვეღარ ნახეს. ინ-ნარი.

დ ე პ ე შ ა

ლანჩხუთი. ვ. ჭყონიამ დუელში გამოიწვია „მათრახის“ კორესპონდენტი ზნაკოლა. საქმე შემდეგშია; ესენი წინეთ კარგი მეგობრები იყვნენ, მაგრამ ამას წინეთ ლანჩხუთის სასოფლო ბანკში სკოკის თანადასწრებით საშინელი ბრძოლა მოუხდათ. ვ. ჭყონიამ ცილი დასწამა შხანკოლას: „შენ წამახდინე, სიცხვილი მაჯამე, დამამცირე, ათას უნამუსობას შემაჩვიე, დამამარცხე და მაიმუნ-ჯამბაზათ გამომიყვანე ხალხის თვალშიო, თვარა მე ერთი სოფლის აზნავირს, ვერ მაჯობებდიო.“ შხანკოლა კი სულ წინაღმდეგ უმტკიცებდა „მე რომ არ გყოლოდი მეგობრათ, შენისთანა უჩინარ კაცუნებს მეზობლებიც კი ვერ შეამჩნევდაო“ და ვითარცა ჰეროსტრატეზეც კი მიუთითა. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ვინც გადარჩება, მან „მათრახის“ რედაქტორი უნდა გამოიწვიოს დუელში როგორც ხელის შემწყობი მაბეზღრობისა. ასე რომ მცირე ხანში დიდი ორომ-ტარალს დავინახავთ. სათაელი.

ძუთაისი. აქ ხსენებულ პორფილეს კლუბის განყოფილება გახსნა გრიგოლ დარახველიძემ, სადაც თავს იქცევს ჩვენი მუცელ გამომწნეული

კონსტანტინე სვიმონის ძე მესხი.
(ქართული სცენის უხუცესი მსახიობი. გარდაიცვალა 15 მაისს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ).

უკანასკნელ შაურის მქონე უსაქმო ახალგაზრდები. აპირობენ გინების კურსების გახსნასაც. გამოიწვრეს საუკეთესო მასწავლებელი „ორთითა“

ამას წინათ, ღამის რაინდმა კოწია ბრ—ძემ, შეიპყრო ქუჩაში მიმავალი ქალი. გაჩხრეკის შემდეგ ბოდიშის მოსახდელად ფრანგების სასოფლაოზე ეპატიჟებოდა, მაგრამ ძლივს გაუსხლტა ხელიდან.

მდ. რიონის პირზე იპოვეს ხეზე ჩამომხჩვალი უცნობი გვამი. ამბობენ სინდისისაგან შერცხვენილი პეტრე გელეიშვილი უნდა იყოსო.

გოგია.

გ მ ი რ ი პ ე ტ რ ე

(ისტორიული მიმოხილვა)

II

სიმართლე, რომ ვსთქვათ არც ჩემისთანა „ისტორიკოსს“ აწყენს ორიოდე „ლახტის“ წვერი, რადგან როდესაც რაიმე საკითხს ვიკვლევ სრულიად უნდა დავამთავრო და ყველა მხარეს შევეხო ამა თუ იმ „გმირისას“. მაგრამ იმედია მაპატიებს მკითხველი, როგორც ახლად გამოჩეკილ „ისტორიკოს“ და ამაშორებს „ლახტის“ წვერს.

მაშ კვლავ ვახსენოთ ლახტის წვერი და შევუდგეთ „გმირი პეტრეს“ თავიდან განხილვას.

პეტრე სამსახურში ა. ი. რეინის გზაზე უბრალო კანდორჩიკათ შევიდა. — ბევრი ცდის შემდეგ ბაქოსკენ დანიშნეს „ზაპასნოი აგენტათ“. ეს ის კურთხეული დრო იყო, როცა ყველა „ქვემძრომი“ ხალხს ძმობას ეფიცებოდა. აქ პეტრე რა თქმა უნდა ხალხის ერთგული შეიქმნა და „პუბლიცისტობასაც“ მიჰყო ხელი. ა. ი. თითონ ამბობდა, რომ იგი „ჟურნალისტ-პუბლიცისტი“ იყო. (ჩვენ კი ვიცით, რომ უბრალო კორესპონდენციებს ათავსებდა) და იმის სიტყვით „სახალხო გაზეთის“ უფროს

ძმას, აწ განსვენებულ „ისარს“, დღესაც ჰმართებს მისი ფული (ვეკვობ?? ღმერთმა დაიხსნას „სახალხოელები“) მაგრამ ხომ გაგიგონიათ, ადამიანს ერთი და იგივე მობეზრდება ხოლმე ა. ი. ერთი მიზანი.— აქ შავბნელმა ძალამ დაჰქროლა და ცა და დედამიწა შავი ბურუსით მოიცვა, „გმირმა პეტრემ“ კი „პუბლუზ“, უპრავლენიაში ამოჰყო თავი საქმის მწარმოებლად და როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, ერთ-ერთ უფროსთან სხვები თუ „პადიეზდიდან“ დადიოდნენ, ის თურმე ჭიშკარიდან. ხშირად უფროსთან სადილათ რჩებოდა. ამ უმფროსს, როგორც თითონ პეტრე იტყოდა ხოლმე, თორემ მე უბრალო მომაკვდავს ვინ მაჩვენებდა. ერთი „კაჩელა სკამი“ ჰქონოდა, იმაზე დაჯდებოდა თურმე პეტრე და ისე ელაპარაკებოდა „კაჩაობით“ უფროს.— ესეც გმირობაა, არა მკითხველო?..

ერთიც ვნახოთ „უპრავლენიი-

დან“ პეტრე ამოჰყოფს თავს სად. ჯულფის უფროსად, ჯერ კიდევ „ხალასტოი“... მარა ექვსი თვის შემდეგ შეირთავს ქალს და ეძლევა მყუდრო ცხოვრებას. აქამდის თუ დღეში მანეთი ჰყოფნიდა, ეხლა, როგორც ოჯახის პატრონს უფრო მეტი მოუნდებოდა, რადგან სტუმარ-მოყვარე ბევრია...

აქ ის გაიცნობს წინა წერილში ნახსენებ ,,არუთინოვს''. არუთინოვი თავს ბედნიერად სთვლიდა, რომ ასეთ გვამს გაეცნო, როგორიც იყო ,,გმირი პეტრე'', და აღარაფერს აღარ იშურებდა იმისთვის; მოუტანა სამი ხალიჩა ღირებული 750 მან. მარა პეტრე დიდი გონიერი კაცია .. ის მიხვდა მოსამსახურეთა აღელვებას და რა შეატყო, რომ მოთმინება ,,იფეთქებდა'', ერთ მშვენიერ დღეს ძმურად გადახვია ხელი და უთხრა:

— ლევან გიორგიჩ? ,,ბატონო''. — მსწრაფლ უპასუხა ლევანმა, — რადგან მისთვის ეს დიდი ბედნიერება იყო, რომ ,,ჩით'' მოიხსენია ამისთანა გაიძვე.. უკაცრავად გმირმა პეტრემ... ,,მოდი ბარათი მომეცი, რომ ეს ხალიჩები შენგან ვიყიდე, თორემ ხომ იცი ეხლანდელი დრო!.. ლევანიც რა თქმა უნდა უარს არ ეტყოდა და მისცა... მარა საკვირველი ის არის, რომ ქართველმა სომეხი მოატყუა...

პეტრემ თანდითან იგრძნო, რომ მოსამსახურები ჩუმად უკმაყოფილობას აცხადებდნენ და უმეტესად კი კასსირი ბატ. პ. ჯა—ნიძე, რომელიც უმტკიცებდა უფროსს, რომ ცუდათ მოქმედობს. ამაზე პეტრემ გააჭრელა ,,დანოსი'' კასსირზე და გააძევა ჯულფიდგან.

ჰო, როცა უკმაყოფილება გაიგო მოსამსახურების, იმდენი ეცადა, რომ თავის მომხრე ეშოვნა და მალე თავისივე მოგვარე გადმოასკუპა სხვა სადგურიდგან და სამ თვეში ბილეთის კასაც ჩააბარა, რომელიც უწყალოდ აძრობდა ტყავს უვიც თათრის გლეხებს.

სად. ჯულფაში იშოვნა კიდევ ერთი მოსამსახურე იმის გარდა, რომელიც ეხლა კახეთის გზაზე ჰყავს, და ამასაც მერე შევეხოთ..

ბოლოს ისე აეწეწა პეტრეს საქმე, რომ აღარ იცოდა, რა გზას დასდგომოდა. მაგრამ კაცს, რომ ,,ძაღლის ბედი'' ექნება, სწორედ იმაზეა ნათქვამი. მაინც თავისი ბედი გასჭრის... ამოჰყო თავი კახეთის რკინის გზაზე ,,დეჟურნის უფროსად'' სადაც თავის ,,გმირობას'' თურმე არ იშლის. ფრთხილად კახეთის მოსამსახურენო.. ჩვენ კი ღმერთმა გვაშოროს ამისთანა ,,გმირნი'' და უსურვოთ მას ,,ლახტის'' სველი წვერი...

ვან-ხანიძე.

გამოცანა

(სჩხერელებისათვის)

ტანად დაბალი მორგვია,
ლოთობისა მსურველია,
მუდამ ქურასთანა გდია;
თავხედი და უზდელია.
ცხვირი წაუგავს „ქუჩკასა“,
მაიმუნებსა სიცილი,
სადაც არ გინდა იქ ჰნახამ,
ენას ადგია სულ ცილი.
თუ რომ კარგი გაიგონა,
პირზე უკრთის მას სიცილი,
და თუ ნებას აიყოლებ
უნდა გაურბოდე ფრთხილი.
უყვარს პირში თუ უთხარი:
სიტყვაა ცრუ და თან ტკბილი,
მისთვის ყველა ტკბილი არის
თუ გინდ ნაგვი გზათა ყრილი.
ქუჩაში, რომ გაიხედავს,
იწყებს ჩოჩორივით ყროყინს,
ხრინწიანის ხმით დასძახს
ჩიტის ბარტყივითა ჭყივის.
ვინც, რომ ამას გამოიცნობს,
ჯილდოთ უნიშნავ „ბრელოკსა“,
ვისაც რომ გაუჭირდება—
მიიღებს ქატოს და ბრელოსა.

ლაბა.

ჭიათურის ამბები

✦ ტყუილია, ვითომც ავადმყოფებისგან გამორჩენილ ფულებით ერმილე გრიგოლისძეს მოდაზე გამოწკეპილი ცოლ-შვილი დაჰყავდეს. იგი პატიოსანი კაცია და ამას არ იკადრებს. მერმე და სიმონისთანა ,,სტროლი'' და ფრთხილი გამგე, ამის ნებას მისცემს?

✦ ისიც ტყუილია, ვითომც აქაური ექიმები ვიზიტებში ბევრს იღებდნენ. ,,სოციალისტები'' ამას როგორ იკადრებენ, ხომ გაბურჟუავდებიან?

✦ აღფრთოვანებაში მოდის ჩვენი საზოგადოება აქაურ მასწავლებლების მოღვაწეობით: სკოლაში პედაგოგობენ, თეატრში არტისტობენ, სახალხო უნივერ. ლექტორობენ, საღამოს კურსებზე მასწავლებლობენ, კოოპერატიულ დაწესებულებებში მუშაობენ, მუშებში ,,სოციალისტობენ'', შავიქვით ვაჭრობენ, ბურჟუებთან ლაქიობენ, პარტიებში პოლიტიკანობენ, დრო გამოშვებით ქეიფობენ, ხშირად ბანქოობენ, ხელსაყრელ დროს არშიყობენ და ღამღამობით კი ცოლებთან. . . . . .

✦ ,,ჩვენი ოჯახის'' გამგეობამ დაადგინა: პაიები ამიერიდან სულ მიკიტნებზე გასაღოს. მათი ფურნიდან ყველაზე მეტ პურს ესენი ვაჭრობენ. შაურის პურს ,,სოციალისტ'' მოქეიფე მუშებზე აბაზად ასაღებენ და ამით, ერთი მხრით, ხდება პროლეტარიზაცია და, მეორეთი — კაპიტალის კონცენტრაცია. ამ მიზნით გამგეობამ უნდა ჩამოიაროს ყველა მიკიტნები და პაიები შეაძლიოს.

✦ ზევსის და ლითონის შვილს, მზის, სინათლის, ხელოვნების, მეცნიერების და სიბრძნის ღმერთს მოუვიდა წინადადება ევროპიდან: ,,გამოუცხადეთ თქვენგნით განსწავლულ ,,სტუდენტებს'', რომ განზრახულია ლამანშ ქვეშ გვირაბის გაყვანა და ეგენი გეგმის, ხარჯთ-აღრიცხვის შედგენაში და მოსალოდნელო სამუშაოს ხელმძღვანელობაში მონაწილეობის მიღებას ხომ არ იკისრებენო''.

✦ გაგვინათლდა დაბა. გადასწყდა გალამა-გამოლომით ეკლესიების აგება სამშენებლო ფონდის გასაძლიერებლად სახ. უნივერსიტეტის მართველობა მართავს საღამოს ფრანგული

ქიდაობით. სხვათა შორის, ფალავანდებად მოწვეულნი არიან მამა გერვასი და ბესარიონი. ჟიური შესდგება იოკიმე მოდებაძის და დიმიტრი აბაშიძისაგან. ბილეთების ფასი დაკლებულია.

✦ პატივცემულმა გრიგოლ მიხეილისძემ მოახდინა ,,ვსკრიტიე'' აქაური ,,ბრძნების'' თავის ქალებისა და ამოდენა ,,ჭკუის კოლოფებში'' მხოლოდ ,,მათრახის'' კორესპონდენტის,,ოლეირიცინის''ტვინი აღმოჩნდა ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავი თავისი უჯრედებით, რაც სისწორით ამტკიცებს მის გენიოსობას და ჭკუამახვილობას.

✦ აქაური საზოგადოება დიდ სიხარულშია და მადლობას უძღვნის ბ. ბ. ალექსანდრეს და ნახუცარს, რომ მათ თვისი უმაგალითო შრომით, მუყაითობით და ფხიზელი დარაჯობით ესოდენ გაასუფთავეს და გაასპეტაკეს მდინარე ყვირილა, რითაც, როგორც იქმნა, დაამშვიდეს გაცხარებული ქვემო იმერლობა. გამოთქვამს საზოგადოება თავის გულის-წყრომას, რომ საბჭო რატომ ჯამიგირებს არ უდიდებს და სათადარიგო, მარქაფა ცხენების ხარჯს არ მისცემს.

✦ აქაურმა მანდილოსნებმა განიზრახეს ქვემოთა ხიდის დაბლა საბანაო ადგილი გამართონ ამ ზაფხულობით, ვინაიდგან ეს მოსახერხებელი ხდება. ნიშნად უღრმესი მადლობისა ამ სიამოვნების მინიჭებისთვის ბ ბ. სიმონიკას და საბას სჩუქრათ ქალთა წრისაგან მიერთმევათ ძვირფასი ალბომი ყველა ქიათურელ გატიტვლებულ ქალების სურათებით, რომელნიც გადაღებულნი იქნებიან პირველ ბანაობისთანავე კნიაზ ანდროს მიერ საკუთარი აპარატით.

✦ ამერიკიდან მოვიდა ინჟინერთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი საბჭოს ტეხნიკურ განყოფილების დასათვარიელებლად. განცვიფრებულნი დარჩნენ ერეკლე პავლესძის შრომის მოყვარეობით, გენიოსობით და სთხოვეს იკისროს ახლად გადაყვანილ პანამის არხის გამგეობა. ჯამაგირი წელიწადში 18000 დოლარია. ამანაც კიტას ჩაგონებით უარი განაცხადა — სამშობლოს ვერ ვუღალატებ, დაიღუპებაო. ცოლს ვერ დავტოვებ და, თუ თან წავიყვანე, პროგიმნაზიას რაღა ეშველებაო.

ცხენის-წყლის-პირელი.

წერილი ვერიდან

აქეთ ჩემო მკითხველო,
რომ სასწავლებელია,
სწორეთ გასაცინარი
თან სალონებელია!
აბა ამას ვინ იზამს,
თუ იქნება ჭკვიანი,
ბავშვებს წასაკითხავათ,
მისცენ „ყარამნიანი“?!
მოდი ნუ გაიცინებთ,
სწორეთ სატირელია,
ალბათ ამ სკოლის გამგე,
გონებითა ბნელია!?
თორემ ვინ ყმაწვილებს,
ვინ ეს წასაკითხავი?!
ამის გასაგებათა,
მიუჯზავნოთ მკითხავი!..

მიშა.

საპროტესტო წერილები

(ამხანაგური ხუმრობა)

ქ. გორი სასტიკ პროტესტს ვუცხადებთ ფილისოფ პ. გელეიშვილის თავდამსხმელთ ,,შავრაზმელებს'' გაუმარჯოს პეტრეს გოგრას, ძირს ფედერალისტები!

ხელს აწერს 1000,000 კაცი

ქ. თელავი. პეტრეჯან! პროტესტთან ერთად ბებუთით ფაშვებს დავაყრევინებთ იმ ყურუმსაღებს! დაწვრილებით შეგვატყობინე ბიჭო, რაშია საქმე. ისე ნაახათ საქულამ გვითხრა, რომ თრიატში ბოლოკები უსროლიათო. ერთი გაგვაგებინე თუ ძმა ხარ, რაზეა აყალ-მაყალი! ეგრე, გენაცვალე სულის კლიტეში, არხეინათ იყავი... ჩვენ ცოცხლები ვიყოთ და შენ გაწყენინოს ვინმემ?.

თელაველი ძმა-ბიჭები.

თბილისი. პეტრე! ეგ რა ამბავი მოხდა შენ თავზე?.. ბიჭო და იმან როგორ მოგერია, წინად კი მაგათ კალიასეებ წყვეტავდით და ახლა რა დაგემართათ? მასალა დაგაკლდათ! შე მამაცხონებულო, იტყოდით და ფულს ვერ გამოგიგზავნიდით! ის ბოლოკებმა არ გადაყაროთ, გაიყიდება, ფულია! ფუი, მაგ ვირებმა მაგის მეტი მარიფათი ნუ მისცეთ ღმერთმა! ახრ, მაინც რაზე მოხდა აყალ-მაყალი? ემე, შენ გაზდას, პადრობნად შეგვატყობინე მაგ ,,სლუჩის'' ამბავმა. პროტესტმა ჩვენც ვუცხადებთ იმ ყურუმსაღებს!

ვაჭრების დავერიით ტიგოა და ვაჰანა.

საქართველო. გავიგეთ-რა პ. გელეიშვილის ლექციაზე ქართველ შავრაზმელ-ხულიგანთა უკვანო საქციელი, ღრმა აღშფოთებით ვგმობთ მათ ასეთ მოქმედებას და სალამს ვუძღვნით პატივცემულ ლექტორს! შემდეგისათვის ვუსურვებთ პეტრეს ჭკუის სიმდიდრეს, ღმერთმან განას პეტაკოს ტვინი მისი, რათა უფრო მეტის შნოთი და მარიფათით შესდგომოდეს ფილოსოფიურად გამოკვლევას ილიას შემოქმედებასა და ამნაირად უფრო ძრიელად დასცეს-დაამარცხოს ხალხის მტერი ილია. და ლექციებითა. ამგვარითა გაივსოს ჯიბე თვისი ცარიელი!..

ხელს აწერს 5,401,870 ქართველი მარქსისტი.

ფოთი. ღრმა აღშფოთებით ვგმობთ პეტრეს შეურაცმყოფელთა საქციელს. ზიზღი შავრაზმელებს! სალამი ,,ფილოსოფოს-კრიტიკოსს!..''

ხელს აწერს 3 მ ლიონი კაცი.

თბილისი. უსასტიკეს პროტესტს ვუცხადებთ შენ შეურაცმყოფელ ქართველ ხულიგანებს. ზიზღი მათ საშვილიშვილოდ და სალამი შენ, ჭკუისკოლოფო პეტრე! გვწამს, რომ შენი ფილოსოფია გაიმარჯვებს!..

ხელს აწერს 4 მილიონი კაცი, მათ შორის 1 მილ. სომეხი, 1 მილ. რუსი, 1 მილ. თათარი, ამდენივე ოსი, აისორი, კრუამრუა და სხვა.

იმერეთი. მართალია პეტრე, ჩვენ არაფერი გაგვეგება-რა, არ გიცნობთ, ვინა ხარ და რა კაცი ბრძანდებით,

ლ 336/9 1914/2

და არც ის, თუ რა მოხდა; მაგრამ მაინც პროტესტს ვუცხადებთ შავრაზმელებს. სალამი შენ და ზიზლი იმათ!.. ძირს საქართველო და ქართველები!..

ხელს აწერს 40 მილ. გლეხ კაცი (განურჩევლად ეროვნებისა)

სუსხიანი ამბები

✦ დღეს დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი აწ განსვენებულის „კულტურულ განმანათლებელ საზოგადოებისა“, რომელიც შეიქმნა ტრაღიკული მსხვერპლი ხარფუხის „საზოგადო კლუბისა“. სიტყვებს წარმოსთქვამენ: ბ. ბ. ხმოსანი სულაბერიძე, მოხელე მეხუზლა, ექიმი შათირიშვილი და მსახიობი ს. პეპანოვი. წირვა და პანაშვიდი დაიწყება დილის 4 საათზე, ხარფუხის სამკურნალო დარბაზში, სადაც განსვენებული დაიბადა.

✦ ამ მოკლე ხანში ქუთათური ცნობილი ლექტორი „პეტრიკელა“ ნაძალადევის მოედანზე წაიკითხავს საჯარო ლექციას შემდეგ თემაზე: „პოლიტიკური ახრანა და ახალი აზეფი“. ლექციაზე მსმენელებს უფასოდ გაუშვებენ.

✦ ამ თვის შუა რიცხვებში, ტფილისიდან მიემგზავრება ვაჭრების ექსკურსია დასავლეთ საქართველოში ერთ ცნობილ დასელის მეთაურობით. ექსკურსიის მიზანია: მამულების დათვალიერება. ექსკურსიას თან ეყოლება ექიმი, რომელიც მედიცინურის ანალიზით გამოიკვლევს, თუ რამდენად შეეფერება საქართველოს ჰავა სპარსეთ-ოსმალეთისას.

გასართობი

ვოლტერს, ძლიერ უყვარდა. როცა მას აქებდნენ ხოლმე და მიტომ ყოველთვის სიამოვნებით ისმენდა ყოველისფერს, თუნდაც პირფერობით გამოწვეულსა. ერთხელ გამოჩენილ დალამბერმა უთხრა ვოლტერს:

— საკვირველია, თქვენ ერთი მილიონის დიდება გაქვთ და გროშიან ქებას კი უკან დასდევთ.

—

გამოჩენილ არტისტ ქალს ელეონორა დეზეს ჰკითხეს:

— როგორა ბრძანდებით?

— ცუდად, — მიუგო დეზემ, — ექიმებმა მითხრეს, რაც შეიძლება მეტი მოძრაობა გჭირდებათ წმინდა ჰაერზე და მე კი ჯერ ერთი წყვილი ფეხსაცმელიც არ გამიცვეთია ამ ორ კვირაში.

— რასაკვირველია, ბატონო, თქვენ ხომ სულ ხელებზე გატარებენ თქვენი ნიჭის თაყვანის მცემლები!



ქურდებმა გააცრუეს პოლიციელი (გერმანული კარიკატურა.

ტფილისი სტამბა „შრომა“ მუხრანის ქ. რედაქტორ-გამომცემელი დ. მელაშვილი